განკარგულება:**გ-49. 49242434**
თარიღი:**30/08/2024**

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე–9 ნაწილის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/02 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხა დანართის №1 შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა- ნაგებობების ნუსხა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 აგვისტოს № 58 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის განსაზღვრული შენობა - ნაგებობების ნუსხა

- საკონცერტო დარბაზი „ივერია“ - ქალაქი წყალტუბო (პარკის ტერიტორია);
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში;
- კლუბის შენობა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში.